საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბასილი III

ბასილი III, XI ს. ქართლის კათალიკოსი დაახლ. 1090–1100, მწერალი.

ვარაუდობენ, რომ იყო ძე „დიდისა პატრიკისა ვაჩესი“, ეფრემ მცირ|ეფრემ მცირის ძმა. განათლება მიიღო ბიზანტიაში; მოღვაწეობდა შიომღვიმის მონასტერში. ეკუთვნის საყურადღებო ისტ. ცნობების შემცველი ჰაგიოგრაფიული თხზულება „თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოსთა“; აგრეთვე შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი საგალობელი „დასდებელნი წმიდისა მამისა ჩუენისა შიოჲსნი“.

თხზ.: ინგოროყვა პ., ძველქართული სასულიერო პოეზია, წგ. 1 – ტექსტები, ტფ., 1913.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ლ. ჯღამაია